

22.10.10 № 03-2.1-175/4715

საქართველოს ეროვნული ბანკის
ვიცე პრეზიდენტს ბ-ნ ო. ნადარაიას

ასლი საფონდო ბირჟას

მიმდინარე ანგარიშის შესახებ,

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს 2009 წლის 25 მაისის N 22 ბრძანების მე-5-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ექვეპუნქტის შესაბამისად, სს"ვითიბი ბანკი ჯორჯია" გატყობინებთ, რომ 2010 წლის 15 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული (ოქმი-N18/2010) გადაწყვეტილების საფუძველზე გენერალურ დირექტორს, არჩილ რესანის ძე კონცელიძეს გაუგრძელდა უფლებამოსილება 2 წლის ვადით - 2012 წლის 15 ოქტომბრამდე. აქვე გაცნობებთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ევგენი ნემერინსკი ამ ანგარიშს ხელს არ აწერს, ვინაიდან ამჟამად იგი არ იმყოფება საქართველოში.

დანართი - 2 ფურცლად

ამონაწერი სს"ვითიბი ბანკი ჯორჯიას" 15 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის N18/2010 ოქმიდან.

CD დისკი- 1 ცალი

პატივისცემით,

დირექტორი



მამუკა მენტეშაშვილი

085000

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №18/2010 ამონაწერი

სხდომის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გ.ჭანტურიას ქ.№14

სხდომის ჩატარების თარიღი: 2010 წლის 15 ოქტემბერი

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ წესდების 6.12. პუნქტის შესაბამისად სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭომ (შემდგომ - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ან „ბანკი“) დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო დაუსწრებელი კენჭისყრით.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ დაუსწრებელი კენჭისყრის ბიულეტენების შევსების გზით. ბიულეტენების მიღების დასრულების მომენტისათვის ბიულეტენები წარმოადგინეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგმა წევრებმა:

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ე. ნემერინსკი
თავმჯდომარე:

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: ო.კოსტაში
 ა.იაშნიკი
 გ.ლომიძე

გამოკითხვის წესით დაუსწრებელ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 4 (ოთხი) წევრმა.

ბანკის წესდების 6.8 პუნქტის შესაბამისად კვორუმი დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად იყო.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორისთვის, ა.კონცელიძისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

მიღებული გადაწყვეტილება:

1.1. გენერალურ დირექტორს, არჩილ რესანის ძე კონცელიძეს გაუგრძელდეს უფლებამოსილება 2 წლის ვადით – 2012 წლის 15 ოქტომბრამდე.

1.2. 2010 წლის 16 ოქტომბრიდან დაენიშნოს გენერალურ დირექტორს ა.რ.კონცელიძეს ყოველთვიური გასამრჯელო წინამდებარე ოქმის №1 დანართის შესაბამისად.

1.3. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ნემერინსკის მიენიჭოს უფლებამოსილება ბანკის სახელით გააფორმოს 2009 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება გენერალურ დირექტორ ა. კონცელიძესთან წინამდებარე ოქმის №2 დანართის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად


ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს

თავმჯდომარე

ხელმოწერილია

ე. ნემერინსკი

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი



ნ.კანდელაკი

ამონაწერის შედგენის თარიღი

20.10.2010